| რწმენა-წარმოდგენები | რწმენა-წარმოდგენები |
| --- | --- |
| გჳ̂ამთქჳ̂ა ამჸი შჳ̂ანარს: დოშდი ლადეღ მჷ̄ შეიძლება ოჯახხენქა ჲედ თაშ ლახო̄მა, ჲედ ფექ ლახო̄მა, ჲედ თეთრ ლახო̄მა, ალე მჷ̄ შეილება. თახა ლადეღ ჷ̄დღუ, ჯუმა ლადეღ ჷ̄დღუ, ცჷ̄ ლადეღ მჷ̄ შეილება, ჳ̂ბიშ ჷ̄დღუ, საფტინს მჷ̄ შეილება, ქა ლოქ ხაყა ში. მგშლადეღ ჩუხაყა. | სვანებს ასე გვჩვევია: ორშაბათს ოჯახიდან არ შეიძლება ან ყველის გაცემა, ან ფქვილის, ან ფულის, ეს არ შეიძლება. სამშაბათს — კი, ოთხშაბათს — კი, ხუთშაბათს არ შეიძლება, პარასკევს — კი, შაბათს არ შეიძლება, ხელს გადაყოლა იცის. კვირას შეიძლება. |
| — ჴამს ი ნაბო̄ზს ხუღჳ̂ამა მნიშჳ̂ნელობა? | — დილას და საღამოს აქვს მნიშვნელობა? |
| — დე̄სა. | — არა. |
| თანფა ცჷ̄შ ჩუღურდად რიყთე, უხარს ჴჳ̂დად, ნიცს ონჴჳ̂დად ი სილას ოსდე̄სნად კოჭო̄ლს აჯალ ი ეჯი ნიცს ჟიხჳ̂აბჴო̄რად ჳ̂ოჯახს ი ჲეზჳ̂-გარემოს ი ჩი̄ს. იშგენ ხაკჳ̂ ერ მოდე ანჴეს ეჩა ცჷ̄ხან, ხმა არ უნდა აილო ეჩჟ ‘ხაკჳ̂ერ ანჴგდე ნიც. გამდინარე ნიცარ იმხანი არი, ეჩხენ ხაკჳ̂‘ერ ანჴგდი̄ხი, ეჩანღო ჟილოხუნჩჳ̂რინეხი ჳ̂ოჯახი წეჳ̂რალს, ერე თე ერე ეთყჳ̂ელეს ქა. აჯალ ასყიხ ეკალი ჯჳ̂არალს. მგლნი ჲებიშ ხაკუერ ლე̄სეს ალე ჯჳ̂არალ. კარებზე აკეთებდენ, სასაქონლეჟი̄ნგნ ი ასყგდახ ი ციციბურასი ასყგდახ. | აღდგომის ხუთშაბათს ჩავდიოდით რიყეში, კენჭები მოგვქონდა, წყალს მოვიტანდით და ცოტა სილას ჩავდებდით კიდევ და იმ წყალს მოვასხურებდით ოჯახს, ეზო-გარემოს და ყველაფერს. ხმა არ უნდა ამოიღო, ისე უნდა მოიტანო წყალი. გამდინარე წყალი სადაც არის, იქედან უნდა მოიტანო. შემდეგ შეულოცავ ოჯახის წევრებს, რომ ავი თვალი მოსცილდეს. კიდევ ეკლის ჯვრებს აკეთებდნენ. მწარე ბლისაგან უნდა იყოს ეს ჯვრები [დამზადებული]. კარზე ამაგრებდნენ, სასაქონლეზეც ამაგრებდნენ და ციციბურასაც აკეთებდნენ. |
| — ციციბურას იმელექჳ̂ა ირკინახ? | — ციციბურას სად იკიდებდნენ? |
| — იმეჲ ი ყიალექჳ̂ა, ჲერხი ამე̄სა ხაბნგდახ ჭყინტო̄ლარს ლაღლიაშისა, ერე თე̄რ ნომა ხჷ̄გდე̄დს. სერ აჯალ, თხე̄რე̄მი შდგქს, დეშდჳ̂ე შდიქსი მგდე იბემდახ, ირკინახ. ციციბურასი̄. მუქოხი̄ლას იდე̄სდახ ი თოფი საფანტე̄ლარს. ეჯჲარ ი ალაჲრს გაახჳ̂ეჳ̂დენ ეჩე̄სჷ̄ჲ, ქჷ̄მენქა ტყაჳ̂ი მგდას ხეჩჳ̂მუდახ. ეჩანღო ეჯის ზურალე̄ლ შეულოცაჳ̂დენ.. ჯიცხე̄ნო̄ლ ამელექჳ̂ა ეხრეკის ი ჯიცხე̄ნო̄ლ ლაღლიაშისა მიაკერებდი. ილჩა თეხენ სერ. | — სად და ყელზე. ზოგი აქ უბნევდა ბიჭებს იღლიაში, რომ თვალი არ სცემოდა. კიდევ მგლის კბილს, დათვის კბილსაც ჩამოიკიდებდნენ, ციციბურასაც იკიდებდნენ. [მასში] პატარა თეთრ კენჭებს და თოფის საფანტს დებდნენ. ამას გაახვევდნენ მასში. გარედან ტყავის იმას [ტოპრაკს] უკეთებდნენ. შემდეგ იმას ქალები შეულოცავდნენ. თუ გინდოდა დაიკიდებდი, თუ გინდოდა იღლიის შიგნიდან მიაკერებდი. ეს თვალისაგან გიცავდა. |
| — კუმაშს იმჸი ილჩახ თეხან? | — საქონელს როგორ იცავდნენ თვალისაგან? |
| — კუმაშს განსაკუთრებულ ლოცჳ̂ას ხეჩჳ̂მიდახ. ამჸინენ ლოცჳ̂‘ჷ̄რდ‘: შეგილოცაჳ̂ მეზობლისგან, ახლობლისაგან, ნათესაჳ̂ისაგან... — ამჸი შეულოცაჳ̂დენ. ჲერხი ჩჷ̄ჸი ნალსი̄ ხორკინეხ ყო̄რალჸი. | — საქონელს განსაკუთრებულად ულოცავდნენ. ასეთი ლოცვა იყო: „შეგილოცავ მეზობლისაგან, ახლობლისაგან, ნათესავისაგან...“ — ასე შეულოცავდნენ. ზოგი ცხენის ნალსაც კიდებს კარზე. |
| — იმღა ჩჷ̄ჸი ნალს, თე როქ ეჯას ხეჲხენი მჷ̄ნკჳ̂იდა? | — რატომ ცხენის ნალს? თვალი |

— ჳო, მანკჳიდ, ჲერხი ძირს ხაშკა̄დეჴ პოლჟი შესასჳლელისა, ჲერხი გარედან, კარებთან უკეთებს.

— დოშდულს ხოსგდიჴმა̄ ლიშდაბჟი?

— ჳო̄. მაგალითად, დოშდულ სგ'ე̄რ იჭო̄ნე პირჳელ გაზაფხულზ' კუმაშ ეჩქა ხაკჳერ ქა̄თგენნეჴი.

— ზექი ლიქჩეს ი ალეს?

— მეგემი ლიქჩე ცინცხლარჟი მა̄ შეილება, მეგემს მატლ ლოქ უჩნდება ი მასალად მა̄ ხაყა ცინცხალარჟი ნაქაჩს.

— მოსაჳალი ჟილიკედჟი̄ნ?

— თიბჳა ერ იბნეჴ დერა, ალესი̄ ლადელს ხათშიჴ, მთჳარესი̄ ათშიჴ. ჩის ხოჩა თახალადელ.

— ლელნთუ ნა̈̄ყუნს ერ ამა̄რეჴ ი ასყიჴ, ალა შომა ხოჩა?

— ცინცხლარჟი ხაკჳერ მო̄დ ახმა̄რა. ათხე აჯაფსანდალ ერ ჯაკუ ლისყი, ამკაჲ შესანაჴ ნა̄ყუნჳარ მა̄ჲ ჯეკჳდი̄, მო̄დ ენფვგთქგ̄რენდეს ეჯისი ჩ'ოთთიშნეჴ დოშდულს.

— იმშა ტარ ი̄რა, დოშდულს იმღა ხოსგდიჴ?

— მა̄ჲ აჸ, რწმენა მგრე̄ს ხუღჳა ხალხს ერე ხოჩა დოშდულჟი̄ნ ხოჩამდ იშხჳნი მაგ.

— ათხა, დაჳშუშჳათ ქჳერწილჟი ხოსდიჴმა̄ დოშდულს?

— ა̄დუ, პატარძლის შემოყჳანა ცინცხლარჟი მა̄ შეიძლება. მაგალთად, ქ'ე̄რ იცხჳპენიჴ დერა, ნათესაჳთ'ე ჰგდაჴ ი ჳოდ ხოჩა დოშდულ მო̄დ ი̄რო̄ლ, ეჩქანუნ აგითე დე̄მ აჲესდაჴ.

იმჳა̄ლჲთე ჲერ ესხრიჴ, დოშდულსი ალე დოშ ადთიშნაჴ, მარე ლადელს ათშიჴ. თახა ლადელ, ცა̄ლადელ, საფტინ ლადელ, მიშლადელ.

— ხოჩა ლადღარ, საერთოდ ხედ ლადღარ ლიჴ?

— თახაშ, მიშლადელ, საფტინ. ჟაგარს ერ მი̄ღებ, ხოჩა დოშდჳლარჟი̄ნ ხაკჳერ მიიღო, ცინცხლარჟინ ეშ-ჲეში̄ მა̄მ ლი სასურველ.

ზინა დიმიტრის ასული 65 წლის, ჩამწერები: ლელა ავალიანი, ნინო ნაკანი, დავით ფირცხელანი. 30 ივლისი, 2004, ლენტეხის რაიონი, სოფ. მელე

მას ეცემა პირველად?

— პირველად ჰო. ზოგი ძირს აჭედებს იატაკზე შესასვლელში, ზოგი გარედან, კარებთან უკეთებს.

— მთვარეს აკვირდებით /უყურებთ/ საქმის კეთების დროს?

— დიახ. მაგალითად, მთვარე რომ შემობრუნდება პირველ გაზაფხულზე საქონელი მაშინ უნდა გადენო.

— შეშის მოჭრას და ამას?

— ხის მოჭრა ახალ მთვარეზე არ შეიძლება, სახერხ მორებს მატლი უჩნდება და მასალად არ ვარგა ახალ მთვარეზე მოჭრილი.

— მოსავლის აღების დროს?

— თიბვას რომ იწყებენ ამისთვის დღეს არჩევენ, მთარესაც არჩევენ, ყველას სამშაბათი ჯობია.

— საზამთრო საჭმელებს რომ აკეთებენ, ეს როდის ჯობია?

— ახალ მთვარეზე არ უნდა მოამზადო. ახლა აჯაფსანდლის გაკეთება თუ გინდა, ასეთი შესანახი საჭმელები რაც გინდა, რომ არ აფეთქდეს, იმასაც შეურჩევენ მთვარეს.

— რისი ბრალი იქნება, მთვარეს რატომ აკვირდებიან?

— რა და ალბათ, რწმენა აქვს ხალხს, რომ კარგ მთვარეზე ყველაფერი კარგად ინახება.

— ახლა დავუშვათ, ქორწილზე თუ აკვირდებიან მთვარეს?

— დიახ, პატარძლის შემოყვანა [სახლში] ახალ მთვარეზე არ შეიძლება. მაგალითად, რომ მოიტაცებდნენ, ნათესავთან მიჰყავდათ და სანამ კარგი მთვარე არ იქნებოდა, მანამ [სიძის] სახლში არ შეჰყავდათ.

როცა სადმე მიდიოდნენ, შეიძლება მთვარე ვერ გაერჩიათ, მაგრამ დღეს არჩევდნენ: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, კვირას.

— საერთოდ, კარგი დღეები რომელია?

— სამშაბათი, კვირა, შაბათი. წამალს თუ იღებ, კარგ მთვარეზე უნდა მიიღო, ახალ მთვარეზე მაინცდამაინც სასურველი არ არის.